აღმასრულებელი დირექტორის განცხადება ქალთა გაძლიერების პრინციპების მხარდასაჭერად

ჩვენ, ბიზნეს ლიდერები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, მხარს ვუჭერთ ქალებსა და კაცებს შორის თანასწორობის მიღწევას, რათა:

- მოვიზიდოთ მეტი ნიჭიერი ადამიანი ჩვენს კომპანიებში;
- გავზარდოთ ჩვენი კომპანიების კონკურენტუნარიანობა;
- შევასრულოთ ჩვენი კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა;
- დავნერგოთ კომპანიის შიგნით ისეთი მოდელი, რომელიც ასახავს ჩვენი თანამშრომლებისთვის, მოქალაქეებისა და ოჯახებისთვის სასურველ საზოგადოებას;
- შევქმნათ ისეთი ეკონომიკური და სოციალური პირობები, რომლებიც განვითარების შესაძლებლობას მისცემს ქალებსა და კაცებს, ბიჭებსა და გოგოებს;
- ხელი შევუწყოთ მდგრად განვითარებას იმ ქვეყნებში, სადაც ვსაქმიანობთ.

ამრიგად, ჩვენ მივესალმებით „ქალთა გაძლიერების პრინციპების - თანასწორობა ნიშნავს ბიზნესს“ დებულებებს, რომლებიც შექმნილია გაეროს ქალთა ორგანიზაციისა (UN Women) და გაეროს გლობალური შეთანხმების მიერ. პრინციპები აერთიანებს შვიდ ნაბიჯს, რომელთა გადადგმაც შეუძლიათ ბიზნესებსა და სხვა სექტორებს ქალთა წინსვლისა და გაძლიერების მიზნით.

ქალებისა და კაცების თანასწორობა ბიზნესისთვისაც მომგებიანია. ქალების ჩართულობის ხელშეწყობა როგორც კომპანიის საქმიანობაში, ისე საზოგადოებაში, გონივრული ბიზნესია და სამომავლოდ ეკონომიკის ზრდას უწყობს ხელს. მდგრადობისა და კორპორაციული პასუხისმგებლობის ცნება, რომელიც ქალთა გაძლიერებასაც მოიცავს, ჩვენ ყველას მოგვიტანს სარგებელს. ქალთა გაძლიერების პრინციპების შვიდი ნაბიჯი კი ამ შესაძლებლობათა განხორციელებაში დაგვეხმარება.

ჩვენ მოვუწოდებთ ბიზნეს ლიდერებს შემოგვიერთდნენ, რათა ერთად ვიხელმძღვანელოთ აღნიშნული პრინციპებით და ხელი შევუწყოთ ქალთა გაძლიერებას სამუშაო ადგილზე, საბაზრო ურთიერთობებში და საზოგადოებაში, რაც, საბოლოო ჯამში, ჩვენს კომპანიებსა და საზოგადოებას სარგებლობას მოუტანს. ამასთან, ჩვენ შევეცდებით, ვაწარმოოთ გენდერულად სეგრეგირებული მონაცემები და დაინტერესებულ პირებს თანასწორობის მიმართულებით მიღწეული პროგრესი გაგაცნოთ ჩვენი საჯარო ანგარიშების მეშვეობით.

სახელი და გვარი: _____

კომპანიის სახელი: _____

თარიღი: _____ ხელმოწერა: _____

*გთხოვთ გამოიყენოთ Adobe Acrobat Reader- ის უახლესი უფასო ვერსია “შეავსეთ და მოაწერეთ”